განგრძობითი განათლების პროგრამა

„დამტკიცებულია “

ფედერაციის გამგეობის მიერ

(სხდომის ოქმი #3.07.06.2024)

თბილისი

2024

პროგრამის აღწერა

1. **პროგრამის დასახელება** - განგრძობითი განათლება

2. **პროგრამის ნომერი** - CPD/GFAAFM/2024

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - პროფესიული კომპეტენციის დადასტურება

4. **პროგრამის მოცულობა** - 30 საათი

5. **პროგრამის საფუძველი** - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები; განგრძობითი განათლების სტანდარტი.

6. **სწავლების ენა** - ქართული

7. **პროგრამის ხელმძღვანელი: ლევან ჯანგულაშვილი** - საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე.

8. **პროგრამის მიზანი:**

განგრძობითი განათლების პროგრამის მიზანია სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ უკვე შეძენილი პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნებისა და განვითარების, ასევე, ახალი როლის შესასრულებლად საჭირო პროფესიული კომპეტენციის შეძენისა და მათი განვითარების უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება ტექნიკური კომპეტენციის, პროფესიული უნარების, პროფესიული ფასეულობების, ეთიკის და დამოკიდებულებების სათანადო დონეზე სრულყოფაში.

9. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

- სერტიფიცირებული ბუღალტერის სტატუსი
- პროფესიული ორგანიზაციის წევრობა.

10. **სწავლის შედეგები**

სერტიფიცირებულმა ბუღალტერმა განგრძობითი განათლების პროგრამის გავლის შედეგად უნდა განაახლოს და გაიღრმავოს პროფესიული კომპეტენცია, რაც მოიცავს:

- **ტექნიკურ კომპეტენციებს,** კერძოდ, განგრძობითი განათლების პროგრამის ფარგლებში არსებულ საგნებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს;
- **პროფესიულ უნარებს,** რომელიც არის, კომუნიკაბელურობის, პერსონალური, ორგანიზაციული უნარები, რომელთა ტექნიკურ კომპეტენციასთან, პროფესიულ ფასეულობებთან, ეთიკასთან და დამოკიდებულებებთან ინტეგრაციის საშუალებით ვლინდება სერტიფიცირებული ბუღალტერის პროფესიული კომპეტენცია;
- **პროფესიული ფასეულობებს, ეთიკას და დამოკიდებულებებს,** რომელიც არის პროფესიული ქცევა და სხვა მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავს სერტიფიცირებული ბუღალტრის პროფესიის წევრობას. პროფესიული ფასეულობები,ეთიკა და დამოკიდებულებები მოიცავს ქცევის (ეთიკურ) პრინციპებს, რომლებიც არსებითად დამახასიათებელია პროფესიისთვის.

11. **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები**

- ლექცია
- პრაქტიკულ სიტუაციურ მაგალითებზე მსჯელობა
- დისკუსია-დებატები

- წარმოდგენილი სტანდარტების ახსნა-განმარტებები და მათი პრაქტიკული გამოყენების მეთოდი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

ლექცია განხორციელდება დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში, საკომუნიკაციო ტექნოლოგიის **Microsoft Teams**-ის დახმარებით. Microsoft Teams არის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ერთიანი პლატფორმა, რომელიც აერთიანებს სამუშაო ადგილზე მუდმივი ჩათის, ვიდეო შეხვედრების, ფაილების შენახვისა და პროგრამების ინტეგრაციას. თითოეულ მონაწილეს წინასწარ გაეგზავნება ლექციაზე დასწრების ბმული თანდართული ინსტრუქციით, რომლის დახმარებითაც პირადი ტელეფონით ან კომპიუტერით შეძლებენ დისტანციურად ლექციაზე დასწრებას.

კურსის მონიტორინგი განხორციელდება ადმინისტრატორების მიერ, რომლებიც აღრიცხავენ მსენელების დასწრებას, უზრუნველყოფენ სასწავლო მასალების მიწოდებას და ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრას. ***მსმენელთა დასწრების აღრიცხვა მოხდება Microsoft Teams-ს შეხვედრის ბმულიდან მონაწილეთა დასწრების რეპორტის ამოღების სახით, რომელიც შეინახება სამი წლის განმავლობაში.***

რეგისტრაციის გავლის დროს, ყველა მონაწილეს გაეგზავნება დისტანციურად ლექციაზე დასწრების სახელმძღვანელო, რომელშიც საილუსტრაციო მაგალითის გამოყენებით აღწერილი იქნება პირადი კომპიუტერით ან ტელეფონით ლექციაზე ჩართვის სქემა. ლექცია წარიმართება ონლაინ რეჟიმში, სადაც თითოეულ მსმენელს შესაძლებლობა ექნება, რომ ჩაერთოს დისკუსიაში.

კურსის განმავლობაში განხილული იქნება მაგალითებზე მსჯელობა: წარმოდგენილი სტანდარტების ახსნა-განმარტებები და მათი პრაქტიკული გამოყენების მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

ლექტორი უფლებამოსილია მსმენელს მიაწოდოს თეორიული და პრაქტიკული მასალა იმ ფორმატით, რომელიც წარმოდგენილია სწავლების დროს. ლექტორი(ადმინისტრატორი) ვალდებულია აწარმოოს მსმენელთა დასწრების აღრიცხვა, რომელიც მოხდება ელექტრონულად.

12. განგრძობითი სწავლების სტრუქტურა

#	სასწავლო პროგრამა	ნომერი	საათები
1	აუდიტის და ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები	CPD/ GFAAFM /2024/01	9
2	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები	CPD/ GFAAFM /2024/02	9
3	საგადასახადო და ბიზნეს კანონმდებლობის სიახლეები;ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით კანონმდებლობა და შესაბამისი სამართლებრივი აქტები	CPD/ GFAAFM /2024/03	12

განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსი

პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსი; აუდიტის და ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები

სასწავლო პროგრამის დასახელება	აუდიტის და ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები	პროგრამის ნომერი CPD/GFAAFM/2024/01

სასწავლო კურსის თემატიკა

9 საათი

თემები: პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსი; ხარისხის მართვის, აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები:

1. ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპები და კონცეპტუალური მიდგომის არსი;
2. 2023 წელს სამოქმედოდ შემოღებული ეთიკის კოდექსის მნიშვნელოვანი ცვლილებების მიმოხილვა;
3. არამარწმუნებელი მომსახურების გაწევა აუდიტის დამკვეთისათვის;
4. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის(saras) მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოვლენილი ხარვეზების სტატისტიკის გაცნობა;
5. აუდიტის ძირითადი პროცედურების დოკუმენტაციის წარმოება პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით ამონაგების პროცედურასთან მიმართებით;
6. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 600 (გადასინჯული)-სპეციფიკური საკითხები – ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (კომპონენტის აუდიტორის სამუშაოს ჩათვლით);
7. მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდრატი 3000 (გადასინჯული)- მარწმუნებელი გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტისა და მიმოხილვის გარდა.

სათაური/ ხანგრძლივობა

ცვლილებები პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსში, ხარისხის მართვის,აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებში:	**9**
1. პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები)	**3**
• ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპები,მათი მიმოხილვა , პრაქტიკული გამოწვევები და შესაბამისობა;	1
• კონცეპტუალური მიდგომა - ეთიკის დარღვევის მთავარი საფრთხეები და მათი თავიდან აცილების გზები;	1
• არამარწმუნებელი მომსახურების გაწევა აუდიტის დამკვეთისათვის;	0.5

	• 2023 წელს სამოქმედოდ შემოღებული ეთიკის კოდექსის მნიშვნელოვანი ცვლილებების მიმოხილვა;	0.5
	კითხვა- პასუხი (მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის რეჟიმი შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომ).	
	2. აუდიტის და ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები	**6**
	• ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის(saras) მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკის გაცნობა. • აუდიტის ძირითადი პროცედურების დოკუმენტაციის წარმოება პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით ამონაგების პროცედურასთან მიმართებით; • ამონაგების მტკიცებებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება და რეაგირება.	**3**
	• ფირმის მმართველობის პასუხისმგებლობა ჯგუფის აუდიტის მართვასა და ხარისხის მიღწევაზე; • ჯგუფის აუდიტის საერთო სტრატეგია და ჯგუფის აუდიტის გეგმა; • ჯგუფის, მისი კომპონენტებისა და მათი გარემოს შესწავლა / კომპონენტების განსაზღვრა; • არსებითობის განსაზღვრა ჯგუფისთვის; • მარწმუნებელი გარიგების შესრულება მგსს 3000-ის შესაბამისად; • ეთიკური მოთხოვნები,ხარისხის მართვა/დაგეგმვა/განხორციელება; • პროფესიული სკეპტიციზმი, პროფესიული განსჯა, მარწმუნებელი მომსახურების შესაფერისი უნარები და მეთოდები; • მტკიცებულებების მოპოვება/დასკვნის ჩამოყალიბება.	**3**
	კითხვა- პასუხი (მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის რეჟიმი შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომ).	

სასწავლო კურსის ფორმატი	სასწავლო კურსი წარიმართება ლექციის ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს აუცილებელ ინფორმაციას. ლექციის მიმდინარეობისას თეორიულ საკითხებთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც. ლექციის მსვლელობისას, მსენელთა აქტიურობის გათვალისწინებით, დამატებითი დრო დაეთმობა კითხვა-პასუხის რეჟიმს.
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია: - მსმენელთა ინფორმირება პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსის და კოდექსში შესული უახლესი ცვლილებების შესახებ; - მსმენელების ხელშეწყობა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების უკეთ აღქმასა და სხვა აუდიტორული კომპანიების გამოცდილების გაზიარება,რაც მათ საშუალებას მისცემს წინასწარ გაითვალისწინონ გარკვეული რისკები, რომელიც შესაძლოა თან ახლდეს აუდიტის და ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის გამოყენებას.

სასწავლო კურსის შედეგები	1. გაიზრდება მსმენელთა ინფორმირების დონე ეთიკის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესახებ; 2. ამაღლდება მსმენელთა კვალიფიკაცია და ცოდნა ხარისხის მართვის და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებისა და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ.

სწავლის ერთეულის ოდენობა		
თეორიული ნაწილი (ლექცია) **პრაქტიკული მაგალითები** **კითხვა-პასუხის რეჟიმი**	6 სთ 2 სთ 1 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის რეჟიმი შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სულ საათების რაოდენობა	**9 სთ**	

სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი

<u>ძირითადი ლიტერატურა</u>

- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 28.03.2023 #ნ-2 ბრძანების საფუძველზე სამოქმედოდ შემოღებული პროფესიული ეთიკის კოდექსი (IESBA code);
- აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების სახელმძღვანელო.
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის(saras) მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკა.

<u>დამხმარე ლიტერატურა და მასალები</u>

- ბეკერის გამომცემლობის აუდიტის სახელმძღვანელო;
- ბეკერის სახელმძღვანელოს ტესტ-ბანკი;
- პრეზენტაციები.

სწავლების ენა	ქართული
ინფორმაცია კურსის ლექტორის შესახებ	
სახელი, გვარი	ანნა ხმალაძე
უმაღლესი განათლება	თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM-თბილისი ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მფლობელი. ბადენ-ვიუტენბერგის პროფესიული აკადემია, გერმანია ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მფლობელი.
პრაქტიკული გამოცდილება	ანნა ხმალაძეს აქვს 15 წლიანი გამოცლიდება ფინანსებში, მათ შორის სხვადასხვა ადგილობრივი და უცხოური კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის განხორციელების და კონსულტაციის, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების

	შესაბამისად; ანნა არის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA, Glasgow, UK) მიერ სერტიფიცირებული, პროფესიონალი ბუღალტერი და ACCA-ს წევრი; ანნას აქვს აუდიტის ჩატარების გამოცდილება შემდეგ სექტორებში: წარმოება, სამედიცინო, უძრავი ქონება, ნავიგაცია, განათლება, საცალო და საბითუმო გაყიდვები, IT და სხვა.
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 595 33 98 07; e-mail: akhmaladze@bdo.ge

განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსი

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები

სასწავლო პროგრამის დასახელება	**ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები**	**პროგრამის ნომერი CPD/GFAAFM/2024/02**

სასწავლო კურსის თემატიკა		
15 საათი	**თემები: ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები:** 1. ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა; 2. ბასს 7- ფულადი ნაკადების ანგარიშგება; 3. ფასს 16 -იჯარა; 4. ბასს 20 - სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები.	
	სათაური/ ხანგრძლივობა	
	ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები:	**9**
	• ბასს 1 ცვლილება- - გრძელვადიანი ვალდებულება (კონცენტრაცია გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების კლასიფიკაციაზე - მაგალითები კოვენანტებზე);	1.5
	• ფასს 16 ცვლილება - (კონცენტრაცია უკუიჯარის მაგალითებზე);	1.5
	• ბასს 7 ცვლილება- ფულადი ნაკადების ანგარიშგება (კონცენტრაცია მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებებზე, მაგალითები);	3
	• ბასს 20 - სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები.	3
	კითხვა- პასუხი (მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის რეჟიმი შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომ).	

სასწავლო კურსის ფორმატი	სასწავლო კურსი წარიმართება ლექციის ფორმატში სასწავლო კურსი წარიმართება ლექციის ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს აუცილებელ ინფორმაციას. ლექციის მიმდინარეობისას თეორიულ

	საკითხებთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც. ლექციის მსვლელობისას, მსენელთა აქტიურობის გათვალისწინებით, დამატებითი დრო დაეთმობა კითხვა-პასუხის რეჟიმს.
სასწავლო კურსის მიზანი	• მსმენელების ინფორმირება განსახილველი სტანდარტების მნიშვნელოვანი ნაწილის თაობაზე და აღნიშნული სტანდარტების ადაპტირებისთვის აუცილებელი პროცედურებისა და დანერგვის ტექნიკური მხარის შესახებ; • მსმენელების ინფორმირება სტანდარტებით მოთხოვნილი არსებული სავალდებულო პროცედურების და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ.
სასწავლო კურსის შედეგები	მსმენელები შეიძენენ ცოდნას შესაბამისი სტანდარტების უახლეს ცვლილებებთან დაკავშირებით და აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე აღრიცხვაში განსახორციელებლი ცვლილებების თაობაზე. აღნიშნული კურსი მსმენელებს ხელს შეუწყობს შესაბამისი სტანდარტების უკეთ აღქმაში.

სწავლის ერთეულის ოდენობა		
თეორიული ნაწილი (ლექცია) **პრაქტიკული მაგალითები** **კითხვა-პასუხის რეჟიმი**	6 სთ 1.5 სთ 1.5 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის რეჟიმი შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სულ საათების რაოდენობა	**9 სთ**	

ძირითადი ლიტერატურა:	
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი	
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები: 1. ბასს 1 - განახლებული სტანდარტი, ლექტორის მიერ მომზადებული კაზუსები; 2. ბასს 7 - განახლებული სტანდარტი; 3. ფასს 16 - განახლებული სტანდარტი, ლექტორის მიერ მომზადებული მასალა; 4. ბასს 20 - სტანდარტი; 5. ლექტორის მიერ შემუშავებული პრეზენტაციები.	
სწავლების ენა	ქართული
ინფორმაცია ლექტორის შესახებ	
სახელი, გვარი	ივანე ჟუჟუნაშვილი
უმაღლესი განათლება	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ბაკალავრი და მენეჯმენტის და მიკროეკონომიკის მაგისტრი.

პრაქტიკული გამოცდილება	ივანე ჟუჟუნაშვილს აქვს 24 წლიანი გამოცდილება აუდიტორულ და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურებაში; სპეციალიზაციის სფეროები: დაზღვევა, წარმოება, ფინანსური სექტორი, უძრავი ქონება, კომუნიკაცია, ვაჭრობა, სატრანსპორტო მომსახურება, ბუნებრივი რესურსები და სხვა; IFRS კომიტეტის წევრი - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური; ივანე, ასევე არის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA, Glasgow, UK) მიერ სერტიფიცირებული, პროფესიონალი ბუღალტერი. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ სერტიფიცირებული, პროფესიონალი ბუღალტერი; საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული აუდიტორი და პროფესიონალი ბუღალტერი.
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 599 977 702; e-mail: VZhuzhunashvili@bdo.ge

განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსი

საგადასახადო საკანონმდებლო ცვლილებები და ბიზნესკანონმდებლობა;ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულება

სასწავლო პროგრამის დასახელება	**საგადასახადო და ბიზნეს კანონმდებლობის სიახლეები; ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით კანონმდებლობა და შესაბამისი სამართლებრივი აქტები**	**პროგრამის ნომერი CPD/GFAAFM/2024/03**
სასწავლო კურსის თემატიკა		
თემები: 2023-2024 წლებში განხორციელებული საგადასახადო და ბიზნეს კანონმდებლობის სიახლეები; ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით კანონმდებლობა და შესაბამისი სამართლებრივი აქტები		
სათაური/ ხანგრძლივობა		
საგადასახადო საკანონმდებლო ცვლილებები და ბიზნესკანონმდებლობა; ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულება		**9 საათი**

საგადასახადო საკანონმდებლო სიახლეები	**3 საათი**
• გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის ახალი დანართი ; • სურსათის უსასყიდლოდ მიწოდება; • ფიზიკური პირის მიერ ბინის რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი ; • გაცვლის (ბარტერულ) ოპერაციის დროს ანაზღაურების გადახდისას საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე დღგ-ით დაბეგვრის საკითხი; • საჯარო გადაწყვეტილება ბარტერულ ოპერაციაზე; • დაგროვებით საპენსიო სქემაში საპენსიო შენატანების განხორციელების ვადის ცვლილება და სხვა ასამოქმედებელი სიახლეები; • სათამაშო ბიზნესის დაბეგვრის საკითხები; • ფინანსური დავალიანების მქონე/ფინანსური დავალიანების საფუძვლით სტატუსშეჩერებული სტუდენტების მიერ მიღებული სარგებელი; • ღვინის ტურიზმის საქმიანობის სუბიექტი და აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტი.	1
• სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ დივიდენდის განაწილება; • მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმის მიზნით გამოყენებისთვის დარიცხული/დაკისრებული მოსაკრებლის თანხა ან/და მასთან დაკავშირებული ჯარიმა და საურავი; • ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა; • საფინანსო სექტორის მიერ 2023 წლიდან მოგების გადასახადის დეკლარაციის შევსების წესის ცვლილება; • დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმება; • გაანგარიშებაში ასახული უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხა, რომელიც ექვემდებარება ჩათვლას; • საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციები.	1
• საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა; • შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებულ უცხოურ საწარმოებთან დაკავშირებული ოპერაციების გათავისუფლება გადასახადებისგან; • ცალკეულ საქონელზე ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ნორმების განსაზღვრა; • სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევა; • გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის „ა“ დანართის შევსების წესი; • არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭების საფუძველი; • უძრავ ნივთთან დაკავშირებული მომსახურების განსაზღვრა დღგ-ის მიზნებისთვის; • პროცედურული სახელმძღვანელო საგადასახადო შემოწმების შუალედური აქტის გამოცემის შესახებ.	1

კითხვა- პასუხი (მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის რეჟიმი შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომ).	
ბიზნესკანონმდებლობა	**3**
• საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ;“	1
• საქართველოს კანონი”პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ”(კონსოლიდირებული ვერსია); • საქართველოს კანონი“მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ (კონსოლიდირებული ვერსია);	1
• ,,აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მიმართ მოკვლევის ჩატარების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის №ნ-10 ბრძანება.	1
კითხვა- პასუხი (მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის რეჟიმი შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომ).	
ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით კანონმდებლობა და შესაბამისი სამართლებრივი აქტები	**6**
1.საკანონმდებლო და სახელმძღვანელო დოკუმენტები: • საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“; • ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით საქართველოში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები; • „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით“ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სამსახურის შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიმოხილვა, გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციები; • „ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესი“; • „ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვის და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესი“; • ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციები; • ფულის გათეთრების ევრო დირექტივები; • ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელი რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) შეფასებები.	2.5
2.ფულის გათეთრების ეტაპები და მიმოხილვა;	0.5

3.ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება და მართვა: • .ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ეროვნული ანგარიში და სამოქმედო გეგმა საქართველოში; • სისტემის ფუნქციონირებისათვის პასუხისმცებელი პირი;მონიტორინგი და სასწავლო პროგრამები; • საეჭვო გარიგების ან ასეთი გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა და წარდგენა; • ინსტიტუციური რისკების შეფასება: -რისკ ფაქტორებისა და კონტროლის მექანიზმები; -სტატისტიკური და ინციდენტების ანგარიში;შეფასება და ყოველწლიური ანგარიში; • კლიენტების რისკების შეფასება: -პოლიტიკურად აქტიური პირები;რთული მმართველობითი სტრუქტურა; -საქმიანობისა და მომსახურების რისკ-ფაქტორები; • რისკის ცვლილება: -კლიენტთან არსებული გარემოება შეიცვალა;კლიენტთან არსებული ხანგრძლივი ურთიერთობების შედეგები; • ანგარიშვალდებული პირის მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები: -იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია; -ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენა; -საქმიანი ურთიერთობის დამყარების მიზანი და მონიტორინგი.	2.5
4.შესაბამისობის სისტემის მონიტორინგი / აუდიტი • შესაბამისობის კონტროლის სისტემა; • შესაბამისობის კონტროლი ჯგუფის დონეზე.	0.5
კითხვა- პასუხი (მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის რეჟიმი შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომ).	

სასწავლო **კურსის ფორმატი**	სემინარი წარიმართება დისტანციურად, ლექციის ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს აუცილებელ ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი. სემინარზე განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითები, რომელთა ელექტრონული ვერსიები, ისევე როგორც სხვა დანარჩენი სასწავლო მასალები (ამონარიდები სხვადასხვა ინსტრუქციებიდან, პრეზენტაცია, ე.წ. მანუალები და სხვა) დამსწრეებს მიეწოდებათ ელექტრონული ფორმით.
სასწავლო კურსის	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელთა ინფორმირება საგადასახადო და მეწარმეთა საკანონმდებლო მიმართულებით განხორციელებული

მიზანი	ცვლილებების თაობაზე; ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მათი ცნობიერების ამაღლება,ინფორმაციის მიწოდება აღნიშნულ სფეროში მომქმედი კანონმდებლობისა და მისი იმპლემენტაციის შესახებ.
სასწავლო **კურსის შედეგები**	გაიზრდება მსმენელთა ინფორმირებულობის დონე საგადასახადო დაბეგვრისა და სამეწარმეო საქმიანობის სფეროში არსებულ საკითხებზე.კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს ექნებათ ამომწურავი ინფორმაცია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის სიხლეების შესახებ; ისინი მიიღებენ ცოდნას, რომელიც აუცილებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად, რისკების იდენტიფიცირებისა და მართვისთვის.

სწავლის ერთეულის ოდენობა		
თეორიული ნაწილი (ლექცია) **პრაქტიკული მაგალითები** **კითხვა-პასუხის რეჟიმი**	6 სთ 1.5 სთ 1.5 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის რეჟიმი შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სულ საათების რაოდენობა	**9 სთ**	

სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი
ძირითადი ლიტერატურა
• საქართველოს საგადასახადო კოდექსი; • „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის # 996 ბრძანება; • საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“; • საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ;“ • საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისი №2 ბრძანება „ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე“; • საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისი №1 ბრძანება „ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვის და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“. • საქართველოს კანონი”პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ”(კონსოლიდირებული ვერსია); • საქართველოს კანონი“მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ’ (კონსოლიდირებული ვერსია); • ,,აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მიმართ მოკვლევის ჩატარების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის №ნ-10 ბრძანება.

<u>**დამხმარე ლიტერატურა და მასალები**</u>	
• ნორმები ბიზნეს კანონმდებლობიდან; • სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკა; სიტუაციური სახელმძღვანელოები; • ნორმები საგადასახადო კოდექსიდან / ფინანსთა მინისტრის ბრძანებებიდან; • სიტუაციური სახელმძღვანელოები / მეთოდური მითითებები ; • პრეზენტაციები; • FATF-ის რეკომენდაციები.	
სწავლების ენა	ქართული
ინფორმაცია ლექტორის შესახებ	
სახელი, გვარი	თეონა პაპიაშვილი
უმაღლესი განათლება	2009-2013წ. - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი. 2013-2016წ. - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (ინგლისურენოვანი სექტორი).
პრაქტიკული გამოცდილება	11 წლიანი გამოცდილება, 2013-დღემდე შპს ბიდიო კონსალტინგში საგადასახადო ჯგუფის ხელმძღვანელი.
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელ: 595 01 33 83; e-mail: tpapiashvili@bdo.ge
სახელი, გვარი	ზურაბ ნატროშვილი
უმაღლესი განათლება	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი2008 – 2012 ბაკალავრი იურიდიული მიმართულებით;ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი2012 – 2014მაგისტრი კერძო (ბიზნეს) სამართლის მიმართულებით; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2015 - დღემდე დოქტორანტი იურიდიული მიმართულებით.
პრაქტიკული გამოცდილება	რვაწლიანი გამოცდილება იურიდილი მიმართულების სფეროში; მოწვეული ლექტორი - შპს „ბიდიო აკადემიაში“ და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; საერთაშორისო აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია შპს „ბიდიოს“ იურიდიული მიმართულების და რეგულაციებთან შესაბამისობის მენეჯერი; ამავე კომპანიის თანამშრომელი 2016 წლიდან დღემდე; ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელ: 579 33 53 53; e-mail: ZNatroshvili@bdo.ge
სახელი, გვარი	მარიამ პაიჭაძე
უმაღლესი განათლება	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი2013 – 2017 ბაკალავრი იურიდიული მიმართულებით; თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი 2017 – 2020 სამაგისტრო კურსი ბიზნეს სამართლის მიმართულებით.
პრაქტიკული	შვიდ წლიანი გამოცდილება საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებსა და

გამოცდილება	რეგულაციებთან შესაბამისობის მიმართულების სფეროში; მოწვეული ლექტორი - შპს „ბიდიო აკადემიაში“; საერთაშორისო აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია შპს „ბიდიოს“ იურიდიული და რეგულაციებთან შესაბამისობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის დამოუკიდებელი წევრი. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელ: 597745742; e-mail: mpaitchadze@bdo.ge